საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1535 2017 წლის 24 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „მარდი ენერჯის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2017 წლის 3 აპრილს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია საქართველოს მთავრობას, შპს „მარდი ენერჯის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2017 წლის 3 აპრილს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის 4.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შპს „მარდი ენერჯის“ მიერ დარღვევის თაობაზე.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის გათვალისწინებით, განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული ურთიერთგაგების მემორანდუმი შეწყვეტილ იქნეს ამავე მემორანდუმის 13.6 პუნქტის საფუძველზე.

3. ამ განკარგულების მეორე პუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ უზრუნველყოს შპს „მარდი ენერჯისთვის“ მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე შესაბამისი შეტყობინების გაგზავნა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**